



შპს ექვთიამე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

*დამტკიცებულია 2017 წლის 11 მარტის
აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით N2*

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების
ინსტრუქცია და დამტკიცების პროცედურა.**

2017 წელი

თავი I.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია

მუხლი 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში – პროგრამა) უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და მასში მითითებული უნდა იყოს:

- ა) პროგრამის სახელწოდება;
- ბ) პროფესიული განათლების საფეხური;
- გ) მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია;
- დ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით;
- ე) პროგრამის ხელმძღვანელი;
- ვ) სწავლების ენა;
- ზ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
- თ) პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია პროფესიული სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე;
- ი) სწავლის შედეგი;
- კ) დასაქმებისა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები;
- ლ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;
- მ) პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;

2. საგანმანათლებლო პროგრამას ასევე უნდა ახლდეს:

- ა) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით.
- ბ) სასწავლო კურსების/მოდულების პროგრამები (სილაბუსები);
- გ) პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების წინაპირობების მატრიცა და სწავლის შედეგების რუქა;
- დ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ;
- ე) სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;

პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში მას თან უნდა დაერთოს პროგრამის დამტკიცების აქტი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროგრამა მოიცავს:

- ა) პროგრამის აღწერას;
- ბ) სასწავლო გეგმას;
- გ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაციას;
- დ) მოდულებს (ზოგადი, სავალდებულო, არჩევითი);

მუხლი 2. პროგრამის სახელწოდება

1. დასაშვებია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება არ ემთხვეოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროგრამის სახელწოდება ემთხვევა ჩარჩოდოკუმენტის სახელწოდებას.

მუხლი 3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

1. დაშვების წინაპირობის განსაზღვრის მიზანია პირის წინასწარი კომპეტენციების იდენტიფიცირება, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება პროგრამის ჩარჩოდოკუმენტით.

მუხლი 4. სწავლის შედეგი

1. სწავლის შედეგი უნდა ასახავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციის და სწავლის უნარები) და რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ.
2. სწავლის შედეგებში უნდა აისახოს დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული პროფესიული სტანდარტის შესაბამისად.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, სწავლის შედეგები განსაზღვრულია პროგრამის ჩარჩოდოკუმენტით.

მუხლი 5. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

1. პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლების/სწავლის მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებულ შედეგების მიღწევას.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, სწავლის მეთოდები

განსაზღვრულია პროგრამის მოდულებით.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

1. პროფესიული სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა უნდა გამოიხატებოდეს დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. პროფესიული სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს შუალედურ შეფასებას/შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
3. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება უნდა განხორციელდეს 100–ქულიანი სისტემით.
4. დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის შეფასება 40 ქულაზე მეტით.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტით ან/და მოდულით.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
 - 6.1. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
 - 6.2. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
 - 6.3. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
 - 6.4. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

მუხლი 7. სასწავლო კომპონენტები

1. პროგრამის სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება

კრედიტების მინიჭება.

2. კომპონენტის მითითებისას უნდა აღინიშნოს: სახელწოდება, მოცულობა კრედიტებით, პროფესიული სტუდენტის დატვირთვის სახეები (ასტრონომიულ საათებში).

3. სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსში მიეთითება: სასწავლო კურსის/მოდულის სახელწოდება, მასწავლებელი/მასწავლებლები სასწავლო კურსის/მოდულის მიზნები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის/მოდულის შინაარსი, სწავლების/სწავლის მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი ლიტერატურა, დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა.

4. სილაბუსში უნდა მიეთითოს მხოლოდ ის კომპეტენციები, რომელთა გამომუშავებასაც მიზნად ისახავს შესაბამისი კომპონენტი.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, სასწავლო გეგმა მოიცავს ჩარჩოდოკუმენტით განსაზღვრულ ყველა ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულებს, აგრეთვე სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ არჩევით მოდულებს შესაბამისი კრედიტებით.

მუხლი 8. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების წინაპირობები.

1. სასწავლო გეგმას თან უნდა დაერთოს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/მოდულების წინაპირობების მატრიცა და სწავლის შედეგების რუკა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, მოდულებზე დაშვების წინაპირობები მითითებულია ამავე მოდულებში.

მუხლი 9. ადამიანური რესურსი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ადამიანური რესურსით, რომელშიც შედის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი.

2. პროგრამას უნდა დაერთოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი.

მუხლი 10. პროგრამის ხელმძღვანელი

1. პროგრამას შეიძლება ყავდეს ხელმძღვანელი, რომელიც შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის წარმომადგენელი ან მოწვეული სპეციალისტია.
2. პროგრამის ხელმძღვანელი ორგანიზებას უწევს პროგრამის კორექტირების და განვითარების პროცესებს, უზრუნველყოფს მათ საჯაროობასა და გამჭვირვალობას, აგრეთვე ამ პროცესებში პროფესიული განათლების მასწავლებლების, მოწვეული სპეციალისტების, დამსაქმებლების, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობას.
3. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროფესიულ და ხარისხის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე.
4. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს პასუხისმგებელ და საკონტაქტო პირს მოცემულ პროგრამასთან დაკავშირებული ნებისმიერი საორგანიზაციო, ტექნიკური თუ კონცეპტუალური ხასიათის პრობლემის წამოჭრისას.
7. პროგრამის ხელმძღვანელს ევალება: მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტებს ინფორმაცია კურიკულუმის შესახებ, გაუწიოს მათ კონსულტაცია, მოაგვაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები და სხვ.

მუხლი 12. პროგრამაში ცვლილების შეტანა

პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

თავი II.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების პროცედურა

მუხლი 13. პროგრამის განხილვა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/შედგენა ხორციელდება დაწესებულების შესაბამისი პროფილის მქონე პერსონალის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლების, მოწვეული სპეციალისტების, დამსაქმებლების, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და სხვა დაინტერესებული პირების

მონაწილეობით.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროგრამის შემუშავება/შედგენა ხორციელდება პროგრამის ჩარჩოდოკუმენტზე დაყრდნობით სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის მქონე პერსონალის მიერ.

მუხლი 14. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობა

სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო განიხილავს პროგრამას.

მუხლი 15. პროგრამის დამტკიცება

სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის გათვალისწინებით პროგრამას ამტკიცებს აკადემიური საბჭო.